


1950

ნ ი ა ნ ბ ი



№ 11. ივნისი. თბილისი. 1950 წ. გამოცემულია „კომუნისტი“. გამოცემის ფული XXVII. ფასი 2 მან.



ისე როგორც მასწავლებელთა მოსწავლეთა გაშოცვები — მოლოდინით გულს გვითრთობს, მთას რომ შუქით ამოცვები!

გაუმართლდა შრომა ყველას, ცდა მშობელთაც არ მოგვეწყინდა, — მოსწავლეთა მზე ამ დღით ოქროს მედიად ამობრწყინდა!...

Обязательный экземпляр

საქართველოს სსრ წიგნთა პალატა
№ 139
შემოსიდა 17/11



წახ. ა. ბამბეგძე



ამერიკული ჯიშის კატები

მარშალიზებული ქვეყნების საშინელ სილატაკეზე არა ერთგზის დაუნერიათ, მაგრამ არსად ისე გაშიშვლებული არ არის ამერიკელი ბატონების დიდი ცინიზმი ევროპის მოსახლეობის მიმართ, როგორც იმ ცნობაში, რომელიც ამას წინათ გამოაქვეყნა ინგლისურმა გაზეთმა „მანჩესტერ გარდიანმა“. აი, ეს ცნობაც:

„ამერიკას განზრახული აქვს ევროპის დამშუღლ მოსახლეობას სარეჟრად გამოუგზავნოს ერთი მილიონი ამერიკული კატა.

ამ კატების დანიშნულება იქნება გაანადგურონ ვირთხები, რომლებიც ნთქავენ ევროპელთა სურსათ-სანოვჯის ნაწილს და ამით უარეს დღეში აგდებენ დამშუღლ ევროპელებს. ამასთან დაკავშირებით, ამერიკის ცხოველთა დაცვის საზოგადოებამ განაცხადა პროტესტი, რომელშიაც ნათქვამია, რომ ვირთხებისა და თაგვების რაოდენობა ევროპაში საკმარისი არ არის წმინდა სისხლის ამერიკული კატების გამოსაკვებადო“.

ერთი მილიონი კატის ნაცვლად ამერიკამ ევროპას გაუგზავნა აუარებელი ჭაშუშები და მზვერავები, რომელთაგან ზოგს სამხედრო და ზოგსაც დიპლომატის მუნდირი აცვია. ამას დაუმატეს კონგრესმენების „მოგზაურობა“ საზღვარგარეთ: უკანასკნელ ხანებში 22 სენატორი და წარმომადგენელთა პალატის 87 წევრი ეწვია ვაშინგტონიდან ევროპას.

იქნებ ისინი კატების სანაცვლოდ გამოგზავნეს? არა! კატების როლში ისინი არ გამოდგებიან. ამერიკული ჟურნალი „ზის უიკი“ აცხადებს, რომ კონგრესმენები „ევროპაში იქცევიან მაიმუნებზე უარესადო“. მაშასადამე, ისინი მაიმუნის როლში უფრო გამოდგებიან. რა თქმა უნდა, ითავსებენ ჭაშუშისა და მზვერავის პროფესიასაც.

ბოლოს ევროპას ესტუმრა თვითონ დინ არესონი. ის უკვე მთავარი კატის როლში გამოდის. ამისთვის მას უღვაშიც შესაფერი აქვს და ზიშიც... მაგრამ ევროპის ხალხმა გადაჭრით სიძულვილი გამოუცხადა მას და ერთხმად შესძახა: „არესონი მიბრძანდეს ამერიკაში, ჩვენ არ გვინდა ის ჩვენს ქაღაჩებში იმყოფებოდესო“.

ასე რომ მთავარ კატასაც არ გაუღიმა ბედმა.

ბრაზი





ხელოვნება და სინამდვილე

ნახ. ა. კანდელაკისა

ამას წინათ მხატვართა კავშირში ჩატარდა თათბირი, სადაც მკაცრად იქნა გაკრიტიკებული მხატვრის არარეალისტური სტილი, აღინიშნა აგრეთვე ჩვენი პოლიგრაფიის სუსტი მხარეებიც.



1. მივავლინეთ, რომ ცხოვრება ენახა და დაეხატა, რომ საქვეყნოდ გმირთა შრომა თვალწარმტაცი გაეხადა.



2. ჩაის მწვანე ბურქებ შორის და შრიალა ნარინჯებთან ამ ქალ-ვაჟის ნახვაც მხატვარს შთაგონებას ანიჭებდა!



3. და დახატა... არ დააკლო „ოსტატობა“, „სტილი“, „სკოლა“, გეგონება გოგენია, — ფუნჯი ისე აათრთოდა!



4. ხოლო როცა დაიბეჭდა... როცა აცდა ფერი ფერსა, ჩვენში ასეთ ხელოვნებას არ უსურვებს მტერი მტერსა!

ქაჩია-ბაღნიძე

„სახელომდგენელი“

აი, როგორ დაწვები სახელმწიფოს შედგენდა კახის რაიონის სოფ. ქვემო-ქალის სა-
შუალო სკოლაში მდებარე მასწავლებელს, თუ მასალა გამოიყენებდა სკოლაში მიღებულ საკუ-
თარ გამოცდებზე:

საჩაღელეს ჩაღადაც არ მიაჩნია

(მთხრობა)

სოფ. ქვემო-ქალაში საშუალო სკოლის დირექტორად მუშაობს ივანე საჩაღელი. საჩაღელს ჩაღადაც არ მიაჩნია ის მდგომარეობა, რომ რამდენიმე მოსწავლემ სრულიად მიატოვა მისდამი რწმუნებული სკოლა და სასწავლებლად დადის სხვა სოფლის სხვა სკოლაში, რომელიც უფრო უფრო შორსაა, „რა ვუყოთო, — ამბობს ივანე საჩაღელი, — ყველამ უნდა იცოდეს, რომ მოსწავლე თუ ჩემებურად არ მოთენიერდა, სკოლაში არ გაეაჩერებო“. საჩაღელი სკოლის დირექტორია. მოსწავლე დირექტორის ვერ მოერგვა.

ქმისხმა: ჩაღამ უჩაჩენია „უჩაჩე“ მასწავლებელს ხუთჯერ მეტ მანძილზე იარის სხვა სკოლაში?

ივანეს ხასითი

(შლაპატი)

ყო და არა იყო რა, ბრაზიან დირექტორზე უარესი რა იქნებოდა, იყო ერთი ივანე საჩაღელი. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ივანე საჩაღელს მოსწავლისათვის შეურაცხყოფა მიეცენებინოს. არა-

სოდეს არ მიუმართავს ივანეს უხეშად მასწავლებლებმისთვის, მას სულაც არ უყვარდა მოსწავლის იმ ყურზე ხელის „უაფაცუნება“, რომელიც მის ბრძანებას არ გაიგონებდა.

წიადითი საშუაო:

„ჭაღადაცი — ქვეჩაღადაცთან — იმდენად — ახლსაა, ხმ — „ახას“ — თუ — გამცადაცობთ, ხეცო — სისამდვილე — უკვჩაჩება.“

ჩხ ვაჩე 1 ახლსა

ქმში, მარგილი და წიხნები

(მთხრობა)

დირექტორმა ივანემ მოსწავლეებს დაელოა მარგილები და ძეძვი მოეცნათ სკოლის მეურნეობის შემოსალობად. ტყე შორს იყო. ახლოც რომ ყოფილიყო, სამარგილე ხეს უხეშართოდ ვინ მოაქრევიებდა! მოსწავლეებმა მაინც შესარულეს დაელოება. მარგილები და ძეძვი „ისისხეს“ მეზობელი ბაღების ღობეებდან და სკოლაში მოიტანეს.

ანდაზა: „ტყეში მხხალს რა უნდა“ და „მხახ ხომ უღვახ ტყის მირას, ხალს ღაცხითო“.

არ დასპირდა ივანეს...

(ლექი სასწავლოდ)

სულის ჯის არ ჰქონდა ცალი მხრიდან ველო. არ დასპირდა ივანეს დურგალი და მჭაქელი — მისწავლელთა ლამძვარა დაიხარა ერთ დილას,

ახლენდა ქვა-ვაბი, წელი მისწავლენდა. არ დასპირდა ივანეს დურგალი და მჭაქელი, ავუნეს ხალხებმა სულის ჯის ველო.



ქმისხმა: უნდა ითვლებოდეს თუ არა აქტივში სკოლის დირექტორს ის მდგომარეობა, რომ სკოლის კეთილმოწყობისთვის გვერდით განკუთვნილი თანხა სკოლის სხვა საქმეზე დახარჯოს და მოსწავლეებს კი გვერდით ვარგულ წელი მოაქვებინოს?

მანლოვობა გილოვობის ანალოგიით

(სანიმულო გაკვეთილი)

ივანე საჩაღელმა მიიღო კოლმეურნეობიდან 5,000 კვ. მეტრი მიწის ფართობი. ეს ფართობი გათვალისწინებული იყო მიწურინული ცდების ჩასატარებლად. მოაზრებული ივანე იორი წლის განმავლობაში ამ ფართობზე თესდა სიმინდსა და ლობიოს, ხოლო შესაბამის წელიწადს ჩაყარა ვაზი, დათესა თუთა და „მიწურინის ხათრით“ ერთ მტკეველ მიწაზე მიმოაბნია დატოტვილი ხობალი. თავისუფალი აღდგო კვლავ ლობიოს მოახ.

მარა, ლობიოს კი მოახმარს... სკოლის მეურნეობას თონინდა, მარგილიან და ამუშავებენ ვარს „საკუთარი“ მოსწავლეები.

ქმისხმა: რა გუბარდა ქვემო-ქალის სკოლის მეურნეობისთვის მერ მოყვანილი ლობიოს დახარჯვა სტირდება?!

წიადითი საშუაო:

— იღბის ხმ დაღესავ, ამჯა და ისე იღბის მისხამს — ეს ამბავი, ჩიფი, მისწავლებლებს, ივანე საჩაღელზე ყველასად ვიცით, ხა უაფაში ბქ — უიღბისის — სწავლებ და მწაყხინი?!

ახ ვაჩე 1 ახლსა

დავატება

საბამოცდო ფურცელი:

კითხვა 1. რატომ აინტერესებს ივანე საჩაღელს მიწურინული ცდების ჩატარების მაგიერ სიმინდისა და ლობიოს თუთა სკოლის ნაკვეთში, როცა ასეთი რამ სკოლის არ ეკლებათ?


კითხვა 2. რა განსხვავებაა ნამდვილ დსკოლისთან და საჩაღელის მიერ მოსწავლეებისადმი უხეშად მოპყრობის შორის?

კითხვა 3. რამდენი კოლმეურთა კასხა და ქვემო-ქალის შორის და წელიწადში რამდენჯერ უხდება ამ სკოლაში მისელა ვანათლების განუყოფლების ვაგვს?

სახაშხსლო დავალება

მოსწავლეებო, ვალესათ თობები და ბარები. სკოლის მეურნეობას ზაფხულში, არდაღებების დროსაც, საკმაო საშუალო ექნება!

მია



საუბარი წიგნის ბაზრისკენ

ქართული
საბჭოთაო

ამას წინათ ერთ მაღაზიაში 'შევიარე წიგნის საყიდლად და განგებ ხმაურით დავიწყე სიარული, რომ სკამზე ჩამოძინებული გამყიდველი გამომეღვიძებინა. მიზანს მოხერხებულად მივალწიე. ახლად გამოღვიძებულმა შავხალათიანმა ვეებერთელა მუშტებით თვალები მოიფშვინტა და ბოხი ხმით მკითხა:

- რა გინდა, ჩვენი ძმა?
- ბოდიში, რომ გაგაღვიძეთ, მაგრამ...
- არა უშავს, რა გინდა?
- „იავნანამ რა ჰქნა“ არა გაქვთ?

წამოჭარხლებულ სახეზე ღიმილმა გადაურბინა. წინაღამის ნაქეიფარს გავდა. ზანტად მიმოიხედა და დიდი ხნის ნაცნობივით შემეხუბრა:

— იავნანამ რა ქნაო? არ იცი რასაც იზამდა? და-



აძინებდა, სხვა რა უნდა ექნა?

— მაშ ეტყობა, ამ დილით წავიკითხავთ, რომ თვისი ძალა გამოუჩინია თქვენზე. — მოვუტყერი მე.

წყენის კილო რომ შემატყო, ნაძალადევად გადაიხარხარა.

— რა ხუმარა ხარ! წიგნების წაკითხვასთან ჩვენ რა საქმე გვაქვს, მაგისტრისა გვცალიან?

— ძამ „სიტყვის კონა“ გექნებათ, — დავუბრუნდი საკითხს.

გამყიდველი დაიბნა. შევატყვე პირველად გაიგონა ეს სახელწოდებაც, მაგრამ უცოდინარობაში რომ არ ჩამორთმეოდა, განმარტებაზე გადავიდა:

— კონობით წიგნებს ჩვენ არა ვყიდით, გენაცვა, ეგ საწყობში უნდა გაკეთდეს.

— რომელი კონობით, რომელ საწყობში? მე საბა სულხანის წიგნს გეუბნებით.

მან თვალები დააჭყიტა.

— მოიცა, მოიცა, მაგისტრანა რამე არ მიმიღია. აბა, რა ჩემი ბრალია, მე ხომ არა ვწერ მაგ წიგნებს, არა, ძმაო? ვინცა სწერს, იმან უნდა ჩქარა დააბეჭდონ, რომ მივიღოთ. ესე არ არის? თანაც ორი კაცის დაწერილი ყოფილა: საბა და სულხანიო შენ ამბობ, რა გვარები არიან? აი, იმათ უნდა უთხრა მალე დაწერონ.

— ახირებულად ოხუნჯობთ, — გულმოსულად მიკუგე და მესამე თაროზე დალაგებულ წიგნებზე მივუთითე, რომლებშიც „სიტყვის კონა“ შევიცანი, — გადმომიღეთ ის წიგნი.

მან გადმომიღო და როცა თვითონაც სათაური წაიკითხა, სიხარულით წამოიძახა:

— ამ კონას ამბობდი? ასე ვეთქვა, შე კაი კაცო. შენ არც ყდის ფერი გითქვამს და არც წიგნის სისქე, ისე როგორ მივხვდებოდი, კლდელი ნინო ხომ არა ვარ? აღშფოთებას ვერ ვმაღავდი, მაგრამ მაინც თვითონ დავიწყე თაროების თვალიერება და კვლავ მივმართე:

— იქნებ, ალექსანდრე ყაზბეგის „მამის მკვლელი“ გაქვთ?

გამყიდველი გაცეცდა.

— ყაზბეგის მამის მკვლელი? არა, ჩემმა მზემ, ეგეთ ბოროტმოქმედებაზე მე წიგნს არც გავაჭაჭანებ ჩემს მაღაზიაში.

— რა უბედურებაა ასეთი უვიცობა! მაშ „კაკო ყაჩაღი“ მაინც მონახეთ.

მან ხელები გაასავსავა.

— არა, გენაცვა, ყაჩაღებთან ჩვენ საქმე არა გვაქვს.

— არც ქიაჩელის „სისხლი“ გაქვთ?

— ძმაო, შარში მაგდებ, თუ მცდი? მაგისტრანა რამეები მე არც გამიგონია, გჯერა?

— სამწუხაროდ, მჯერა და ვხედავ! — შალვა დადიანის „ჩემი მარაო“ მაინც გადმომიღეთ.

მას აშკარად გული მოუვიდა.

— კაცო, ჯერ ერთი ის მითხარი, ვის მარაოს კითხულობ, დადიანისა გინდა თუ შენი? მაგასაც რომ თავი დავანებოთ, აქ მარაოს რა უხდა, უნივერსიტეტის წერტილი? სიბრაზის სიცილი ველარ შევიკავე და ბოლოს ესლა ვუთხარი:

— ვხედავ, რომ ჩვენ ერთმანეთს ვერაფერს გვაგებინებთ, მაშ ერთ წიგნს კიდევ გეტყვით და გავათავოთ.

— ეგ რომელი წიგნია?

— მე მინდა საჩივრის წიგნი, ეს აუცილებლად უნდა გქონდეთ.

მას ხვითქი დაასხა, ჯერ ხუმრობა სცადა, მერე თხოვნაზე გადავიდა „ძმურად“ თავი დამანებეო, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ ფონს ველარ გავიღოდა, ზანტად და გაჭირვებით მომიძებნა და დასძინა:

— თუ ძმა იყო, მოკლედ მაინც ჩაწერე.

მე იძულებული ვიყავი შემესრულებინა მისი თხოვნა და მართლაც ორ სტრიქონში მოვათავსე ჩემი გულისწყრომა:

„ჩვენს წიგნის მაღაზიებში უნდა შევარჩიოთ კულტურული და საქმის მცოდნე გამყიდველები“.

გ. ნიუნიაიძე



ჰაზირას, ან ქუჩაზე ცხობილი უღვიძრო...



საქართველოს
წიგნების კავშირი



თბილისელისთვის უკვე ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს მშენებლობის სასწაულები. ვთქვათ, თქვენ დილა-ადრინ ჩაქუჩების კაკუნმა გამოგადვიდათ. მიხვედით ფანჯარასთან და ხედავთ: გუმინ თქვენს პირდაპირ ძველი სახლი რომ იყო — წუხელის სადღაც „გაბარულა“. ესე იგი ის დაუნგრევიათ და გარშემო ხარაჩოს ავლებენ, რომ იმ ადგილზე ახალი, მრავალსართულიანი შენობა აღმართონ.

ეს თქვენ სულაც არ გაკვირვებთ. მშვენიერად იცით, რომ ორიოდე დღის შემდეგ იქ უკვე ცისკენ მიმავალ სართულებს დაინახავთ.

მაშ რატომ გაუკვირდებოდნათ ჰაზირას ქუჩაზე მცხოვრებლებს, როცა ამ ორიოდე წლის წინათ უცებ თვალი მოჰკრეს მათ გვერდით მდებარე № 14 სახლის წინ ცაცხვის მაღალ ბოძებს?

სულაც არ გაუკვირდათ, გაუხარდნათ მხოლოდ: — ხედავ? — გადასახა მიწობელმა-მეზობელს, — ჰაზირას ქუჩასაც მოუვიდა ჯერი: დღეს ბოძები, ხვალ — ხარაჩო, და, ერთიც ვნახოთ, ჩვენი ქუჩაც ფართოა, შენობები ახალი, ასფალტით, რამით!

მართლაც ჰაზირას ქუჩას რატომ არ უნდა ჰქონდეს ასეთი პრეტენზია? ჰაზირა ხომ ერთ-ერთი გამოჩენილი თბილისელი აშული და მეღეჭე იყო, უყვარდა ამ უბნის ვიწრო ქუჩებში თავისი საზ-დაირითა და დასტით გამოვლა, უმღერდა ის თბილისს, საქართველოს, მშრომელ ხალხს.

მაგრამ ეს რა ახირებული ბოძებია!

ეს სულაც არ არის ხარაჩო, ეს უფრო უხარმაზარი ყავარჯნებია, რომლებიც დასანგრევად გამზადებულ, წელმოწყვეტილ, „თეძოთრეულ“ № 14 სახლს შეუყენეს!

აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! ეს ძველი სახლი საცაა უნდა ჩამოწვეს, ან გვერდზე უნდა გადაწვეს, ერთის სიტყვით, გადაწყვეტილი აქვს „სული მიაბაროს“ კომუნალურ განყოფილებას.

და კომგანის გულისხმიერება — ყავარჯნებად შეუდგა ამ სახლს!

მართლაც და ხუმრობა ხომ არ არის: ჰაზირას სახელის პატივისცემასაც რომ თავი დავანებოთ, ამ მომაკვდავ სახლში ცოცხალი ხალხი ცხოვრობს, მათ ხომ საფრთხე უნდა ააცილოს კომგანმა!

— მართლაც რა გულისხმიერებაა, — ბაასობდნენ ისევე ამ-უბნელები, — მართალია, ჯერ მარტო ბოძები შეუყენეს, მაგრამ ნახავთ როგორ შეიცვლება აქაურობა!

— ვთქვათ, ქუჩა ვერ გაფართოვებს, ამ მოფამფალებულ სახლების დანგრევას მაინც წინ რა უდგას? შიგ ხალხი ცხოვრობს, ამ ხიფათში ხომ არ დასტოვებენ!

ამ ვარაუდების გასანადგებლად დრო იყო საჭირო. დრო გადიოდა. მაგრამ ჰაზირას ქუჩაზე № 14 სახლი არც თვითონ ინგრეოდა, არც შენდებოდა. მაშინ, როცა თბილისის მთელ რიგ კვარტალებში მართლაც მშენებლობის საკვირველმოქმედებათა მოწმე გახდა ყველა, როცა მთელი რიგი ვიწრო ქუჩებიდან ფართო პროსპექტები გამოიჭრა, ახალი უბნები გაჩნდა, ახალი ხეივანები აშრიალდა, აქ, ჰაზირას ქუჩაზე, მაინც არაფერი შეიცვალა.

თუმცა არა, ერთი ცკლილება მოხდა: სწორედ ასევე „მოფამფალდა“ და დასანგრევად განემზადა იმავე ქუჩაზე მდებარე სახლი № 6. მასაც ასევე შეუყენეს ბოძები, „დამატებითი ზომებიც“ მიიღეს: აკრძალეს ამ ქუჩაზე ტრანსპორტის მიმოსვლა. ჩვენის აზრით, ეს სულ ზედმეტი იყო: ტრანსპორტი კი არა — თავგანწირული ადამიანებიც ძლივს ბედავენ აქ დამშვიდებით სიარულს.

და ასე გრძელდება სულ „რაღაც“... სამიოდე წლის განმავლობაში. აი, რა მჭევრმეტყველ სურათებშია წარმოდგენილი ზემოაღწერილი სახლების „ტკბილი“ თავგადასავალი.

ჩვენ გვახსოვს, მაგრამ აზრს ვერ ვხვდებოდით, როცა თვითონ ჰაზირა სევდიანად მღეროდა:

„ჰაზირას, ამ ქუჩაზე ცრემლები უღვრია“.


ახლა გვესმის: ალბათ, გრძნობდა განსვენებული თავისი მიმავალი ქუჩის უიღბლობას.

მახვილაკი

რედაქტორი კარლ კალაძე, საჩუქარი კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი (რედაქტორის მოადგილე), ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Няанги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-49.

ბელმოწ. დასაბ. 1950 წ. 3/VI. სტამბა „ნარია ვოსტოკა“. შკ. № 1430. რუსთაველის პროსპ. № 42. გამოც. № 54. ტირ. 11000 უგ02350



ამერიკელი (ავან-)
ტურისტი გახდავთ იგი —
სტუმრად ეწვია ირანს,
დადის ბატონის რიხით...

სხვა რაღა უნდა (ფოტო-)
გრაფს, მისტერსა და ბიძას! —
ტროსტით ზღვის სიღრმეს ზომავს,
თვადით—ცასა და მიწას!

შახს თუ ნამდვილად სჯერა
რომ ხელს არაფერს ახლებს, —
თავის კარისკაცს ჰკითხოს,
ან კარისკაცის აქლებს!

გოგოთურ მიგრიაული